საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი აცხადებს კონკურსს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ოფიციალურ სოციალურ და ვებ პლატფორმებზე **ახალი წლის მისალოცი ბარათის** შექმნასთან დაკავშირებით

საახალწლო მისალოცი ბარათის დიზაინის ბრიფი

1. პროექტის მიმოხილვა და მიზანი

მიზანი: შექმენით თანამედროვე, სადღესასწაულო და პროფესიონალური ვექტორული ილუსტრაცია, რომელიც გამოყენებული იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ოფიციალურ სოციალურ და ვებ პლატფორმებზე ახალი წლის მისალოცად.

მნიშვნელობა: შერჩეული ნამუშევარი იქნება ჩვენი ფაკულტეტის სახე ათასობით მნახველის წინაშე, რომელიც ასახავს ჩვენი პროფესიული სტუდენტების კრეატიულ და ტექნიკურ შესაძლებლობებს.

2. სამიზნე აუდიტორია და ტონი

- სამიზნე აუდიტორია: სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, პარტნიორი ორგანიზაციები და პოტენციური ახალი სტუდენტები.
- ტონი: თბილი, ოპტიმისტური, ინსპირაციული და სადღესასწაულო ხალისით. აქცენტი გააკეთეთ განვითარებაზე, ახალ შესაძლებლობებსა და წინსვლაზე.
- გზავნილი: "წარმატებული და ნაყოფიერი 2026 წელი!"

3. ტექნიკური მოთხოვნები და ფორმატები

ძირითადი პროგრამა: Adobe Illustrator (ვექტორული გრაფიკა)

პლატფორმა	ფორმატი (ზომა)	ფაილის ტიპი (ჩაბარებისთვის)
Facebook პოსტი/Instagram	1200 X 1200 პიქსელი (კვადრატი) ან 1200 X 628	PNG (მაღალი რეზოლუციის)
ვებგვერდის ბანერი	1920 X 600 პიქსელი (ჰორიზონტალური)	PNG (მაღალი რეზოლუციის)
ორიგინალი ფაილი	-	Ai (Adobe Illustrator)

ორიგინალი ფაილის (Ai) ჩაბარებისას, მისალოცი ბარათის შექმნისას გამოყენებული ყველა ტექსტი უნდა იყოს გადაყვანილი კონტურებში (Create Outlines).

4. კრეატიული მიმართულება და სავალდებულო ელემენტები

სტილი:

1. სუფთა, მკვეთრი ფორმები, მინიმალური დეტალები, აქცენტი ფერსა და კომპოზიციაზე;
2. ილუსტრაცია აგებული გეომეტრიული ფიგურებით;
3. აქცენტი კონტურებზე, რადგან ხაზები ქმნის ილუსტრაციის ძირითად ფორმას.

თემატიკა:

- სასურველია არ იყოს მხოლოდ ,,თოვლის ბაბუა და ნაძვის ხე". ეცადეთ, დააკავშიროთ საახალწლო ელემენტები (ფანტელები, საჩუქრები, შუქები) განათლებასთან/ორგანიზაციასთან/უნივერსიტეტთან (წიგნი, წარმატების სიმბოლოები).

სავალდებულო ელემენტები:

1. ლოგო: უნდა იყოს ინტეგრირებული დიზაინში (და არა უბრალოდ კუთხეში მიწებებული);
2. ფერები: გამოიყენეთ ძირითადი სადღესასწაულო ფერები, მაგრამ სასურველია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბრენდის ფერებთან ახლოს მყოფი (იხ. სტუ-ს ვებგვერდი https://gtu.ge/);
3. ტექსტი (მოკლე): "გილოცავთ ახალ 2026 წელს!" (ან თქვენი ვარიანტი).

5. ჩაბარების პროცესი და ვადები

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მოკლე აღწერა იმის შესახებ, თუ რა კონცეფცია დგას მისი მისალოცი ბარათის ილუსტრაციის უკან.

შექმნილი მისალოცი ბარათის ელ. ვერსიები უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ ელ. ფოსტაზე: graphicdesign@gtu.ge

დედლაინი: 2025 წლის 23-25 დეკემბერი.

შეფასების კრიტერიუმები:

- ტექნიკური შესრულება (Illustrator-ის ეფექტური გამოყენება);
- კრეატიულობა და ორიგინალურობა;
- ბრიფის მოთხოვნებთან და ფორმატებთან შესაბამისობა;
- ვიზუალური კომუნიკაციის ხარისხი.

საკონკურსო ნამუშევრებს შეაფასებს ფაკულტეტის მიერ შექმნილი კომისია.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 2025 წლის 26 დეკემბერს.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკაცი, ხოლო, გამარჯვებულს სიგელი.

დამატებითი კითხვებისათვის დაუკავშირდით: graphicdesign@gtu.ge